სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 22 0000815754

18/07/2022

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, „შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტებისათვის და ქართულ ენაში მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 5 ივლისის MES 0 22 00001.1/66 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის წესით მიღებული 2022 წლის 14 ივლისის N 01-05-04/81 დადგენილების (ოქმი N01-05-02/22 14.07.2022 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა 2022 წლის 25 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ სტუ-ში ყოველ დღე 10^{00} დან 16^{00} საათამდე (კოსტავას 77, სტუ–ის ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350), ან უნდა გამოაგზავნონ სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ელ ფოსტაზე study@gtu.ge.

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის მ/შ-ს, კანცელარიის უფროსს ლ. თარგამაძეს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა, ბიზნესტექნოლოგიებისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად და წარადგინოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში (დანართი 3) არაუგვიანეს 2022 წლის 10 აგვისტოსი;
5. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2022 წლის 12 აგვისტოსი;
6. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2022 წლის 18 აგვისტოსი;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან